დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის N5 სხდომის გადაწყვეტილებებით

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. ეს დებულება განსაზღვრავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი არჩევის წესსა და უფლება-მოვალეობებს, ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. დებულებას დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტატუსი

1. ფაკულტეტი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

2. ფაკულტეტის მისამართია: ქ. თბილისი, 0162, ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5 .

თავი II. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. ფაკულტეტის მიზნებია:

ა) განავითაროს, მართოს და განახორციელოს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ერთსაფეხურიანი დიპლომირებული სპეციალისტის, სარეზიდენტო და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე მომზადების ან/და გადამზადების საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამები/კურსები;

ბ) მოამზადოს მრავალმხრივად განათლებული მეცნიერები და სპეციალისტები, სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზატორები, რომლებსაც გააჩნიათ უნარი, შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ეფექტურად განაგრძონ თვითგანათლება და უახლესი სამეცნიერო და ტექნიკური მეთოდების ათვისება.

გ) ხელი შეუწყოს ფაკულტეტის შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში საუკეთესო თანამედროვე სამეცნიერო და გამოყენებითი პრაქტიკის დანერგვას და განვითარებას,

დ) ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო და კლინიკურ საქმიანობაში.

ე) დააკმაყოფილოს პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღებისდა უზრუნველყოს სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლება;

2. თავისი მიზნების შესასრულებლად ფაკულტეტი:

ა) სთავაზობს სტუდენტებს მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო

კურსების არჩევანს და აძლევს მათ შესაძლებლობას, მიიღონ მრავალპროფილიანი განათლება;
ბ) ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევის განვითარებას საერთაშორისო დონის აკადემიური პერსონალის, კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევით და ხელშეწყობით, საერთაშორისო კვლევითი პროგრამების მხარდაჭერით, რეიტინგული პუბლიკაციების მომზადების ხელშეწყობით.
გ) ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების კავშირს მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით, კლინიკურ, საექსპერტო და სხვა საქმიანობასთან.
დ) ქმნის სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარებისათვის კომფორტულ გარემოს მათი ფართო ჩართვით უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაში. მათ შორის, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების პროცესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რეგულაციების ქმედით მხარდაჭერას, შშმ და სსმ პირებისთვის სრულფასოვან განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და თანაბარუფლებიანი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით.

თავი III. ფაკულტეტის სტრუქტურა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის სტრუქტურა მოიცავს:

ა) ფაკულტეტის მართვის ორგანოებს - ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) ფაკულტეტის მიერ შექმნილ დამხმარე ადმინისტრაციულ ერთეულებს - სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეულები;

გ) ფაკულტეტთან არსებულ კვლევით, საგანმანათლებლო, სასწავლო მიზნებისთვის შექმნილ ცენტრებს, სამეცნიერო ინსტიტუტებს და სხვა დამხმარე სტურუქტურ ერთეულებს;

დ) ფაკულტეტთან შეიძლება არსებობდეს ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერ-კვლევითი ერთეულები.

2. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, გარდაქმნის და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე და აკადემიური საბჭოსგან მიღებული თანხმობის შემთხვევაში.
3. ფაკულტეტის, სამეცნიერო კვლევითი ერთეულების და სხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
4. ფაკულტეტი, სასწავლო მიზნების განსახორციელებლად, მის განკარგულებაში არსებულ მატერიალურ ბაზასთან ერთად, იყენებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების განკარგულებაში მყოფ მატერიალურ ბაზას და ქონებას, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების მატერიალურ ბაზას, საველე ბაზებს, კვლევით გემს, კვლევით და სასწავლო ლაბორატორიებს, , სალექციო აუდიტორიებს, კომპიუტერულ კლასებს, ბიბლიოთეკას. ასევე პარტნიორი კლინიკების რესურსებს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე და ფარგლებში.

თავი IV. ფაკულტეტის მართვის ორგანოები, მათი უფლებამოსილება და არჩევის წესი

მუხლი 5.

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე ყველა პირი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის საბჭო არის არჩევითი, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) აკადემიური პერსონალი შემდეგი წესის დაცვით:

ა.ა) როდესაც ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30 და 30-ზე ნაკლები, ფაკულტეტის საბჭოში შედის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი.

ა.ბ) როდესაც ფაკულტეტზეაკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30-დან და 120-ის ჩათვლით, ფაკულტეტის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 2 წარმომადგენელი.

ა.გ) როდესაც ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 120-ზე მეტი, ფაკულტეტის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 1 წარმომადგენელი.

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან არჩეული თითო წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის 1/4. დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

4. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და დეკანის მეშვეობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრებისგან;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას,საგანმანათლებლო და უშუალოდ ფაკულტეტის მიერ განსახორციელებელ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას და აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და სადისერტაციო საბჭოს შესაქმნელად და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) 4 წლის ვადით, საბჭოს მიერ წაყენებული მოთხოვნების მიხედვით ირჩევს ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.
ზ) იხილავს და ამტკიცებს დეკანის მიერ შეთავაზებულ დარგობრივი კომისიების შემადგენლობას;
თ) იხილავს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და აკადემიური საბჭოს თანხმობით წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
ი) იხილავს ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო ერთეულების წლიურ ანგარიშებს, ასევე კვლევითი ერთეულების მკვლევართა შეფასების შედეგებს და ანალიზს.
კ) იხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას და რეცენზენტების კანდიდატურებს, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი დარგობრივი კომისია.
ლ) იხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებულ/განახლებულ საგანმანათლებლო და დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამებს და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს მათ აკადემიურ საბჭოს შემდგომი განხილვისთვის;
მ) იხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის შეფასების ანგარიშებს;
ნ) იხილავს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო/საგანმანათლებლო მიზნით მოთხოვნილი დაფინანსების საკითხს. ასევე, დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის საკითხებს;
ო) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
პ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;
ჟ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორს;
რ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს;
ს) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

ტ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს.
უ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

5. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა

1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა მოიწვევა დეკანის ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით. სხდომას თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი.

2. ფაკულტეტის წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი.

3. აკადემიური პერსონალის ყველა წევრს შეუძლია წარადგინოს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხი. ამისთვის მან წერილობით (წარდგინების ფორმით) უნდა მიმართოს დეკანს, რომ შესაბამისი საკითხი განხილულ იქნეს ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

4. ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

5. ფაკულტეტის საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელიც დაეგზავნება ფაკულტეტის წევრებს ელექტრონული ფოსტით. ოქმში უნდა იყოს მითითებული:

ა) მართვის ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;

გ) დამსწრე წევრების ვინაობა და დასწრების ფურცელი;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილებები.

6. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები ილუქება და ინახება მასზე პასუხისმგებელ პირთან.

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანი

ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით პროგრამებს;

გ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დარგობრივი კომისიების შემადგენლობას და მასში ცვლილებებს;

დ) ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, გასცემს ცნობებს და ფაკულტეტთან დაკავშირებულ სხვა სახის ინფორმაციას;

ზ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის

მიზნობრივ გამოყენებაზე;
ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანად შეიძლება აირჩეს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
2. დეკანი ფაკულტეტის საბჭოს მიერ აირჩევა თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
3. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან დეკანის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;
4. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტზე სასწავლო დასამეცნიერო-კვლევითი პროცესის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ფაკულტეტის დებულების მიხედვით.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან. თანამშრომლობის მიზანია ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება და მათი დანერგვის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
ა)ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით;
ბ)შეიმუშავებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესი უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვა);
გ)აფასებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითისაქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე.
დ)უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ადგენს ფაკულტეტზე სასწავლო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს;
ე) ამ მუხლის მე-3 პუნქტის ”ა” ქვეპუნქტის საფუძველზე დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ახორციელებს სასწავლო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;
ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;
ზ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას აკრედიტაციის პროცესისთვის და შიდა ხარისსხის შეფასებისთვის;
თ) რეგულარულად აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის საბჭოს.

ი) ხვეწს, მოდიფიცირებას უკეთებს და ამოწმებს ფაკულტეტის პროგრამებს, ქმნის სტუდენთა საგანმანათლებლო პროგრამების/ გავლილი სასწავლო კურსების თავსებადობის დასკვნებს, ადასტურებს მისანიჭებელი/მინიჭებული კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის სისწორეს.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე, პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს და აცხადებს არჩევნებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. შემოსულ განცხადებებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს შერჩეულ კანდიდატურას/კანდიდატურებს.
3. ფაკულტეტს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.
4. ფაკულტეტის საბჭო კანდიდატის/კანდიდატების წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რაც ფორმდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.
5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატის აურჩევლობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო აცხადებს განმეორებით არჩევნებს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

თავი V. ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 12. პერსონალი
ფაკულტეტზე დასაქმებულია აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, კვლევითი პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები.

მუხლი 13. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი
1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისგან.
2. აკადემიური პერსონალის შემადგენლობას მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
4. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვა განისაზღვრება უნივერსიტეტში და ფაკულტეტზე მოქმედი წესების შესაბამისად.

5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციებით;
6. კვლევითი პერსონალი შედგება მკვლევარებისაგან. მკვლევრების შემადგენლობას მიეკუთვნება მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი დაასისტენტ მკვლევარი.

მუხლი 14. ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული (მასწავლებელთა და სხვა) პერსონალი

14.1. ფაკულტეტზე ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

14.2. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები;

14.3. ფაკულტეტის მოწვეულ პერსონალს მიეკუთვნება - მოწვეული სპეციალისტი - მასწავლებელი. მოწვეული პედაგოგი უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, სასემინარო და პრაქტიკულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

14.4. ფაკულტეტი უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ან კვლევითი პერსონალი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

14.5. ფაკულტეტი უფლებამოსილია უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის გარდა, გარკვეულ ამოცანათა შესასრულებლად შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სახით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესს, მათ შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 15. დარგობრივი კომისიების შემადგენლობა და ფუნქციონირება

15.1. ფაკულტეტზე იქმნება დარგობრივი კომისიები ფაკულტეტის საბჭოს მიერ, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების და მიმართულებების მიხედვით;

15.2. დარგობრივი კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრი, რომელსაც გააჩნია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

15.3. დარგობრივი კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) სადოქტორო საფეხური:

ა.ა) დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა განაცხადების განხილვა და შეფასება, სააპელაციო განცხადებების განხილვა, ზეპირი გამოცდის ჩატარება;

ა.ბ) პროსპექტუსის განხილვა და დაცვის პროცედურა;

ა.გ) ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიას და თავმჯდომარის კანდიდატურას. დარგობრივი კომისია მოიძიებს სადისერტაციო საბჭოს პოტენციურ წევრს და მისი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, დამტკიცების მიზნით წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მის კანდიდატურას სადისერტაციო საბჭოს წევრობის სხვა კანდიდატურებთან ერთად;

ა.დ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის რეცენზენტობის კანდიდატურების შერჩევას და მათი ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენას; დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციის შესაბამისობის დადგენა მის სადისერტაციო თემასთან; იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება ან/და დაცვა დაიგეგმება ინგლისურ ენაზე, შესაბამის სადისერტაციო

საბჭოში უნდა შედიოდნენ შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორები/ასოცირებული პროფესორები, რომელთაც გააჩნიათ ინგლისური ენის კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენციის დადგენა და პასუხიმგებლობა ეკისრება დარგობრივ კომისიას.
ა.ე) დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელის შეცვლის ან ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე უარის განაცხადების განხილვას.
ა.ვ) დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში მისი საკვლევი თემის აქტუალობის დადგენას და დადასტურებას.
ა.ზ) იხილავს ფაკულტეტის სტუდენტების განცხადებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ბ) სამაგისტრო საფეხური:
ბ.ა) უზრუნველყოფს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა და მობილობის მსურველთა ზეპირი/წერითი გამოცდის შეფასებას
ბ.ბ) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემური საკითხების განხილვას;
ბ.გ) სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის რეცენზენტის/რეცენზენტების შერჩევასა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრეობის კანდიდატურების წარდგენას ფაკულტეტის საბჭოსთვის;
ბ.დ) იხილავს ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე მისაღები გამოცდების და მობილობის შესაბამისი კომისიების კანდიდატურებს.
ბ.ე) იხილავს ფაკულტეტის სტუდენტების განცხადებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გ) საბაკალავრო საფეხური:
გ.ა) განიხილავს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული - საკითხებს;
გ.ბ) წარუდგენს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრობის კანდიდატურების ფაკულტეტის საბჭოს.
გ.გ) იხილავს ფაკულტეტის სტუდენტების განცხადებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თავი VI. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი

მუხლი 16. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი

16.1. სასწავლო პროცესი:

ა) სასწავლო პროცესი ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა, მარეგულირებელი ნორმებისა და სასწავლო პროგრამის – კურიკულუმის მიხედვით სწავლების ყველა საფეხურზე;
ბ) სასწავლო პროცესის წარმართვისას დაცულია სრული აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს კურსის ხელმძღვანელის თავისუფალ არჩევანს სასწავლო მეთოდების გამოყენების, ლიტერატურის შერჩევის, სასწავლო კომპონენტების განაწილების, სტუდენტთა შეფასების და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან მიმართებაში;
გ) სასწავლო პროცესში ჩართულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეულ იქნან დამატებით სპეციალისტები;
დ) მაგისტრატურაში მიღება და მასთან დაკავშირებული დარგობრივი და სააპელაციო კომისიების შექმნა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ან/და დეკანის ბრძანებით;

ე) დოქტორანტურა ფუნქციონირებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების და სასწავლო პროგრამების მიხედვით;
ვ) სადოქტორო საფეხურზე სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს მიერ იქმნება დარგობრივი კომისიები, რომელთა ფუნქცია და შემადგენლობა დადგენილია ამ დებულებითა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.
ზ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო საბჭოს მიერ.

16.2. სამეცნიერო-კვლევითი პროცესი:

ფაკულტეტის მკვლევარები ახორციელებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის სფეროების და მომიჯნავე დარგების ინტერდისციპლინარულ ანალიტიკურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევას. თავიანთ მისიას მკვლევარები ასრულებენ საბუნებისმეტყველო და მედიცინის დარგების გარემოსათვის პრიორიტეტული ამოცანების იდენტიფიცირებით, შესწავლითა და რეკომენდაციების შემუშავებით. მათ ასევე აქტიური წვლილი შეაქვთ ამ სფეროებში განათლების პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფისა და ცნობიერების ამაღლების პროცესებში. მკვლევარები ასევე უზრუნველყოფენ სამეცნიერო კონფერენციების, სემინარებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზებას კვლევითი შედეგების გაზიარების მიზნით.

თავი VII. ფაკულტეტის ქონება, საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა

მუხლი 17. ფაკულტეტის ქონება და ბიუჯეტი.
1. ფაკულტეტი სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
2. ფაკულტეტის დაფინანსების წყაროები განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი დაფინანსების წყაროების შესაბამისად.

თავი VIII. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 18. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი
1. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების პროექტს, ფაკულტეტის საბჭოს თანხმობის საფუძველზე, აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს დეკანი. აღნიშნული პროექტი, აკადემიური საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, დასამტკიცებლად ეგზავნება წარმომადგენლობით საბჭოს.
2. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ პროექტი უნდა იყოს დასაბუთებული და ასახავდეს ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობას.